


ნიკოლოს ტესლა

ანანო გიორგაძე



ნიკოლა ტესლა დაიბადა 1856 წელს სერბი მართლმადიდებელი მღვდლის ოჯახში ხორვატიაში.


სერბი-ამერიკელი ინჟინრისა და ფიზიკოსის ცხოვრება მართლაც გამორჩეული იყო: ტესლას გარეშე, თქვენ ალბათ სახლში ელექტროენერჯიაც არ გექნებოდათ და ამ წინადადებასაც ვერ წაიკითხავდით.

სიცოცხლის 86 წლის მანძილზე, ტესლამ დააპატენტა 300-ზე მეტი გამოგონება.

ტესლას უმთავრესი გამოგონება, რომლის ბოლომდე მიყვანა თავად არ დასცალდა, სხვებმა კი ვერაფერი გაუგეს, ეს იყო ინფორმაციისა და ენერჯის გადაცემის მსოფლიო უსადენო სისტემა". ეცნიერის მტკიცებით ამავე სისტემას შეეძლო მთელ მსოფლიოში ზუსტი დროის სიგნალები, მუსიკა, ნახატები და გარკვეული ტექსტები გადაეცა.

ხოლო უბრალო, ჩვეულებრივი ტელეფონის საშუალებით, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დარეკვა იქნებოდა შესაძლებელი. ტესლამ ლონგ-აილენდში ენერჯოგადამცემი სადგურიც კი ააშენა.

ის მუშაობდა ტომას ედისონთან, თუმცა მოგვიანებით მათ შორის კონკურენცია გაჩნდა, რადგან ედისონი ემხრობოდა მუდმივი დენის (DC) სისტემას, ხოლო ტესლა ცვლადი დენის (AC) სისტემას ავითარებდა. საბოლოოდ, მისი AC სისტემა გაიმარჯვა და დღეს იგი გამოიყენება ელექტროენერჯის გადაცემისთვის მთელ მსოფლიოში. ტესლამ სიცოცხლის ბოლო წლები ნიუ-იორკში სილარიბეში გაატარა, თუმცა მისი იდეები და გამოგონებები დღემდე ცვლიან სამყაროს. ამბობენ, რომ მას ჰქონდა ეიდეტიკური (ფოტოგრაფიული) მეხსიერება და შეეძლო წიგნების ზეპირად დამახსოვრება. მისი გამოგონებები საფუძვლად დაედო უკაბელო ტექნოლოგიას, მათ შორის Wi-Fi-სა და მობილურ კავშირს.



ნიკოლა ტესლას გამონათქვამები:



"თუ გსურთ სამყაროს
საიდუმლოებებში შეღწევა,
იფიქრეთ ენერგიაზე,
ვიბრაციასა და
სიხშირეებზე."

"ფული
ადამიანებისთვის
მთავარი არ უნდა იყოს,
ჩემი გამოგონებები
კაცობრიობის
სასარგებლოდ
შევემენი."

